ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3739221

ნომერი: AR1561125

თარიღი : 28.11.2017

გაცემის თარიღი : 19.12.2017

გაცნობის თარიღი : 12.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელინა მამედოვა პ/ნ 35001044218
- დიღმის მასივი, მე2 კვარტალი, კორპ. 17, ბინა 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 სექტემბრის №2205731 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 28 ნოემბრის №AR1561125 განცხადებით მომართა ადელინა მამედოვამ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2015 წლის 24

სექტემბრის №2205731 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 სექტემბრის №2205731 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.№20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: №01.14.05.008.078), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 25 სექტემბრიდან 2018 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2015 წლის 24 სექტემბრის №2205731 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილებას და დამკვეთად შპს ,,ოლიმპ ჯორჯიას'' (ს/კ:№:405231011) დაფიქსირებას. მიწის ნაკვეთის (ს.კ: №01.14.05.008.078) მესაკუთრეს, საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №892017003773, მომზადების თარიღი: 2017 წლის 23 ოქტომბერი, 17:26:21) თანახმად, წარმოადგენს ,,ოლიმპ ჯორჯია'' (ს/კ:№:405231011), ხოლო მის მიერ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ადელინა მამედოვა სამსახუროს მომართავს 2015 წლის 24 სექტემბრის №2205731 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილების მოთხოვნით.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთის (ს.კ: №01.14.05.008.078 მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ოლიმპ ჯორჯია'' (ს/კ:№:405231011), სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 სექტემბრის №2205731 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ოლიმპ ჯორჯია'' (ს/კ:№:405231011).

2. სამსახურის 2015 წლის 24 სექტემბრის №2205731 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 24 სექტემბრის №2205731 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.